რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონიშვილის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მ. | სამის თვისა . . . 3 მ.
ექვსის თვისა . . . 5 მ. | ერთის თვისა . . . 1 მ.


# დროება


გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ჩვეულებრივის ასოთი სტრიქონზე ... თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს ერთი შაური


ამ ნომერში ექვსი გვერდია.

## რედაქციისაგან.

«დროების» ცალკე ნომრები იყიდება «ივერიის» მაღაზიაში ბულვარზედ.

«დროება» პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს ექვსი მანათი. პირველის იანვრიდამ 1883, ან სხვა თვიდამ ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ იმ პირობით, თუ ხელის-მომწერნი ზოგიერთ ნომრების მიუღებლობისათვის უკმაყოფილებას არ გამოაცხადებენ, რადგან ეს ნომრები რედაქციაში აღარ არის. ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველის რიცხვიდამ.

ვთხოვთ ქალაქის ხელის-მომწერლებს, თუ ქალაქს გარედ ვინმე გავა საზაფხულოდ ადრევე შეგვატყობინონ ახალი, ადრესი და 50 კაპ. წარმოადგინონ ადრესის გამოსაცვლელად.

ქალაქს გარეთელ ხელის-მომწერელთაც სთხოვს რედაქცია ყოველთვის ადრესის გამოსაცვლელი 40 კ. წარმოადგინონ ხოლმე რედაქციაში.

უმორჩილესად ვსთხოვთ ხელის-მომწერთ, ვისაც ჯერ ფული არ შემოუტანია, ივნისის 1-მდე შემოიტანონ, თორემ გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.

## ტელეგრამები

**მოსკოვი 21 მაისს.** გუშინ კრემლის დიდი სასახლის ერთს დარბაზში სადილად იყვნენ მიწვეულნი თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლნი, ყაზახის ჯარების დეპუტატები, აზიის ხალხის წარმომადგენელნი, ქალაქის თავები და სხვ. სულ 250-მდე. სადილი დაიწყეს მეშვიდე საათზედ და გაგრძელდა ერთ საათს. რომელ სტოლზედაც მათი დიდებულება ისხდნენ; მშვენივრად იყო გაწყობილი ვერცხლის ჭურჭლით. იმპერატორის პირ-და-პირ ისხდნენ: შინაგან საქმეთა მინისტრი, ხივის ხანი და ორი შვილი ბუხარის ამირისა; სულ თორმეტი სუფრა იყო გაშლილი, სტუმრები დაიშალნენ სრულ რვა საათზედ. თერთმეტის ნახევარზედ მათი დიდებულება მიბრძანდნენ გრმანიის ელჩთან, რომელსაც იმ ღამეს ბალი ჰქონდა გამართული. დედოფალმა პირველი კადრილი იცეკვა გერმანიის ელჩთან,—იმპერატორმა ელჩის მეუღლესთან. მათი დიდებულება დაბრუნდნენ ორის ნახევარზედ. დღეს პეტრეს სასახლეში გამართულია სადილი მამასახლისებისათვის. ხვალ მათი დიდებულება მიბრძანდებიან ,,ტროიცკო-სერგეევის ლავრაში‘‘.

**პეტერბურღი 21 მაისს.** სამს მაისს სახელმწიფო რჩევამ გადასწყვიტა მიენიჭოთ ,,რასკოლნიკებს‘‘ (მართლ-მადიდებელი ეკკლესიიდან განდგომილებს) ზოგიერთი სამოქალაქო უფლებანი: პასპორტები ყველა რასკოლნიკებს მიეცემათ რუსეთის ყველა ქალაქებში მისასვლელ-მოსასვლელად, გარდა ,,სკოპცებისა‘‘ ვაჭრობა და ხელოსნობის ნება ექნებათ, მხოლოდ ხატების ხატვა და ამქრების შედგენა იქნება დამოკიდებული შინაგან საქმეთა მინისტრისგან. ამოირჩევიან მოხელეებადაც, მაგრამ თუ სოფელში მამასახლისი ,,რასკოლნიკია, თანაშემწე უთუოდ მართლ-მადიდებელი უნდა იყოს. არ დაეშლებათ ლოცვა და სამღვთო წესების აღსრულება კერძო სახლებში, ან საკუთრად აშენებულ სამლოცველოებში. ადრე დაბეჭდილი სამლოცველოების გახსნა მიენდობა მინისტრს, მაგრამ არ უნდა მიეცეს საეკლესიასწაულო ხასიათი. რასკოლნიკების მონასტრები არ გაიხსნება. თუ სადმე ბევრი რასკოლნიკები არიან, შეიძლება რომელიმე სახლი გადაკეთონ სამლოცველოდ, მაგრამ მართლ-მადიდებელი ეკკლესიის გარეგანობა არ მისცენ, აგრეთვე ზარების რეკვა აღეკრძალებათ. კარებზედ ჯვრების გამოსახვა და ხატების დასვენება აკრძალებათ. მკვდრის დასაფლავების დროს ნება ექნებათ წაუმძღვარონ ხატი და საფლავზედ წესი აუგონ ლოცვით და გალობით. მაგრამ შემოსილნი არ უნდა იყვნენ. აღეკრძალებათ აგრეთვე ხატებით შემოვლა და გალობა, საეკლესიო და საზოგადო ტანისამოსის ჩაცმა სამლოცველოების გარეთ.

ურალის ლეიბ-გვარდიის ყაზახის ესკადრონს მიეცა უფლება მეფის გვარდიისა.

გამოჩენილს კომპოზიტორს რუბინშტეინს ებოძა ვლადიმირის ორდენი მესამე ხარისხისა.

უმაღლესი უქაზი სენატს: იმ საბატონო მამულებისა, რომელიც გლეხებს გამოუსყიდიან, ან ჯერ გამოუსყიდველნი არიან 19 თებერვლის დებულების წესით, მიეცეთ მებატონეთ დამატებული ფული სახელმწიფო $5^0/_0$ ფურცლებით მეთორმეტედი ($^1/_{12}$) ნაწილი იმისი, რაც ერგებათ, გამოირიცხებიან იმისთანა მამულები: რომელნიც გამოისყიდებიან 19 თებერვლის დებულების 67 მუხ. ძალით, რომლების გამოსყიდვაც ნება ყოფლობით მოხდა მებატონეთა და გლეხთა შორის და რომლების გამოსყიდვაზედ სურვილი გამოუცხადებიათ მებატონეებს 1882 წლის 1 იანვრამდენ; და 2, იმ მამულებში, რომლების გამოსყიდვაც მოხდება 28 დეკემბრის დებულების ძალით, თუ მებატონეებმა ისურვეს, არ დაეჭრებათ მისაღები ფულიდამ იმ ვალებში, რომელიც ედვა იმათ მამულებს 1883 წ. 1 იანვრამდენ, თუ დანარჩენი მამული დაგირავებული არსად არის და აუდგება იმ ვალებს.

**რომი, 22 მაისს.** პალატამ ერთ-ხმად გარდასწყვიტა დაედგას ძეგლი გარიბალდის რომის არე-მარეში.

**პარიჟი, 22 მაისს.** სენატს აცნობა შალმელ ლაკურმა, რომ ტონკინში თუმცა ცოტა ჯარი სდგას ჩვენი, მაგრამ საფრანგეთის ინტერესების დასაცველად სრულიად საკმარია. საფრანგეთის დესპანისგან ხელ-მოწერილი პირობა ჩინეთის მართებლობასთან თუმცა არ დაამტკიცა მართებლობამ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს ჩინეთთან უთანხმობა მოისპოსო.

**მოსკოვი, 22 მაისს.** სახალხო ლხინი ხოდინის მინდორზედ, სადაც გაატარეს მთელი დღე მათმა დიდებულებამ, გათავდა მშვიდობიანად. ნახევარ მილიონზედ მეტი იყო შეყრილი. იმპერატორის მობრძანება და ლხინის დასაწყისი შეატყობინეს ხალხს ზარბაზნის სროლით. იმპერატორის სახლეულობისთვის იყო

---

«დროების» ფელეტონი 24 მაისი.

## ციცია

(მოთხრობა)

რამდენიმე წუთს შემდეგ ქორლეუყო, სარქალი, ბექია და მოწმად მოყვანილი კაცი შინაურის არყით ერთმანერთს ლოცავდნენ.

ციცია იქავე იდგა წყნარად და ჩუმად თავდახრილი, გაწითლებული უსხამდა არაყს. ათასში ერთხელ ელვასავით სწრაფად მოჰკრავდა იქ მყოფებს თვალს და ისევე დაბლა დახრიდა.

როდესაც ეს უბრალო ჩვეულება გაათავეს და ცოტაოდენად შეზარხოშდნენ, ქორლეუყომ წამოიძახა:

— აბა ბექიავ, ღმერთს არ მოეტყუების, თუ ბეჯითად მოიქეც მარტო ჯამაგირზედ არ დაგაყენებ, საქონელი პირუტყვია, ენა არა აქვს, იმათი ღალატი ღმერთსაც ეწყინების და კაცსაც.

— რაი ლაპარაკი უნდა, შენაი ქირაიმე, ცხორს საით ელალატების ეგრე მოუვლი, ღვთის მადლმა, როგორც ჩემს ორ თვალს.

— მოუვლი და მეც კაცი ვარ, ქუდი[*]მხურავს—შენს ამაგს უბრალოდ არც მე ჩავავლევ.

ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ამ ლაპარაკთან ერთი მოხუცებული კაცი მოვიდა და მძიმედ თავის დაკვრით წარმოსთქვა:

— საღამო მშვიდობისა.

იქ მყოფნი ფეხზედ წამოუდგნენ და მდაბლად თავის დაკვრითვე უპასუხეს:

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა ბიძიავ!...

— ზარდმოზე, დაჯექი, მოიპატიჟა ქორლეუყომ.

მოხუცმა მადლი გადიხადა და ჩამოჯდა.

— ბექიავ, დაიწყო ახლად მოსულმა.—აქ რას აკეთებ?

— ცხორი დაიზიარა, მწყემსად დამიდგა. უპასუხა სახლის პატრონმა.

— ქეთილი, კეთილი. უპასუხა სტუმარმა და დაუმატა:—ძალუმ მწყემსი გიშოვნია ღვთის მადლმა.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ ბექია და სარქალი ცხვარში წავიდნენ და მოწმად დასწრებული კაციც გამესალმა. მზოს წინ მარტო მასპინძელი და ბოლოს მოსული სტუმარიღა დარჩა.

ისინი ლაპარაკობდნენ შინაურს საქმეებზედ და პირობას სდებდნენ, თუ რა დღეს გაეკეთებინათ თიბვის თავი, *) რადგან ბალახი ძალიან მოწეულიყო და თიბვის მეტი დაგვიანება ბალახს თუ არ დააკლებდა, აღარას უშველიდა.

ამ დროს ციცია გამოვიდა კარებზედ და მოხუცმა სტუმარმა თვალი შეჰკრა.

— გამარჯვება, ციციავ! რასა იქ, როგორა ხარ? მიესალმა ბიძია.

— დამირჩა შენი თავი, აბა რაი მიჭირს? თავ-დახრით და წყნარად უპასუხა ქალმა და წასვლა დააპირა, მაგრამ მოხუცმა ხელი გაავლო და თავისკენ მიიზიდა.

— მოიცა-ლა, მოიცა!... სად მიეჩქარები? უთხრა და გულ-კეთილად დაუწყო ყურება.—იზდები, ლამაზდები, მთის ვარდსავით იშლები...

ამ სიტყვების შემდეგ მიუბრუნდა ქორლეუყოს და დაუმატა:

— რაისთვი არ ათხოვებ? დროს მოსული ქალის გათხოვების დაგვიანება ცოდოა, ცოდოა ღვთის მადლმა!

გათხოვების ხსენებაზედ ქალი გაწითლდა და ხელი გააშვებინა.

— მოიცა-ლა, მოიცა! სად გარბი? დაუმატა მოხუცმა, მაგრამ ქალი საჩქაროდ შეეფარა გალავნის კედელს და ამის გამო ბიძიამ თავის საუბარი ისევ მამას მიმართა: — რაისთვი არ ათხოვებ?

— აბა რაი ვუყო, ბიძიასი, არ მიჯერებს, თორემ ბარემ გავათხოვებდი... უთხარი რამე, ურჩიე, შენი სიტყო სჯერა...

— ქალი ნიადაგ სულ უარზედა

*) თიბვის წინ სოფელი ყოველთვის სამლოცველოს აკეთებს და ამას ჰქვიან «თიბვის თავს».

გამართული ცალკე პავილიონი და დანარჩენი დიდ-კაცობისთვის იმის გვერდით აივანი. მათი დიდებულების გამოჩენამ ხალხში დიდი აღტაცება აღძრა. «ურა!» დიდ ხანს არ შეწყვეტილა. ხალხს ასმევდენ ლუდს (პივო) რამდენიც უნდოდათ. იმპერატორმა სალამი მისცა ხალხს და სოფლების წარმომადგენლებს ცალკე გამოუცხადა მადლობა მოლოცვისთვის და უბრძანა შეატყობინეთ ხალხს ნუ უჯერებენ იმ ჭორებს, რომელსაც ავრცელებენ ხალხში მამულის მტრები არაფერი გაყოფა მიწისა არ იქნება და როგორც არის მიწის მფლობელობა ისე დარჩება. სოფლის მამასახლისებმა, რომელთა რიცხვი შვიდასამდე მიაღწევდა, დიდი მადლობა მოახსენეს იმპერატორს ამაზედ. მათი დიდებულება დაბრუნდენ კრემლის სასახლეში ოთხის ნახევარზედ სადილზედ დაურ. გეს მათი დიდებულების პორტრეტები და პატარა წიგნები,—აღწერა გვირგვინის კურთხევისა. ხელმწიფის სადღეგრძელო პირველად დალია ზელგოროდის მამასახლისმა გოზდევმა. მამასახლისებმა ცრემლით მოახსენეს, რომ ჩვენი მამაპაპის დროს ამისთანა არა ყოფილა-რაო. ლხინობა გათავდა შუშხუნით.

## ახალი ნაპერწკალი აღმოსავლეთის საქმეში.

წინა საუკუნეებში ყოვლად ძლიერსა და ქრისტიან სახელმწიფოთა თავზედ მეხთა-დამცემს ოსმალეთს—ამ საუკუნეში ცუდი დარი დაუდგა. უწინ მისნი ქვეშევრდომნი და ფეხთა-მტვერნი ეხლა გვერდში ამოუდგნენ, პატარ-პატარა სახელმწიფოები შეადგინეს და ხვანთქარი იძულებულია მათს დედა-ქალაქებში ელჩები იყოლიოს და „წყეულ გიაურებს“ ისე მოექცეს, როგორც სწორი სწორს. «მიკვირს, რატომ ალლახი ამდენს უსამართლოებას იტანს და არ ამოშლის დედამიწის ზურგზედ ურწმუნო გიაურების კვალს ო!»—უნდა ჰფიქრობდეს ხვანთქარი, მაგრამ დროთა ბრუნვისაგან იძულებული იხრის ქედს ისტორიულ აუცილებლობის წინაშე და იმ თვალებს, რომელთ შეხედვაზედ ნახევარ ხმელეთი თრთოდა, ეხლა ეშმაკურად უბჟუტავს ევროპის დიპლომატებს, ეგება ბევრისაგან ცოტა მაინც დამინარჩუნონ და სულ ცარიელზედ არ დამსვანო.

ხვანთქრის სამფლობელოდ ამ მეცხრამეტე საუკუნემ ჯერ ხუთი თვითმპყრობელი სახელმწიფო გამოსჭრა და თითქმის ყოველ წელიწადს ერთ-ერთს კუთხეში მაინც უნდა ცეცხლი აპრიალდეს და „ბრწყინვალე პორტას“, როგორც ოსმალეთის მმართებლობას უძახიან—საქმე საჭიროდ გაუხდოს. ეს არაბები ვართო, ეს ალბანიელებიო, ეს ეგვიპტელებიო,—ერთის სიტყვით ყველა და ყოველი თავისკენ გაიწევს და საერთო მამულის დედა-აზრი თითქო სრულიად ჩაჰქრა ოსმალეთში.

მკითხველს ეხსომება, რომ ბერლინის ტრაქტატის ძალით ოსმალეთს სომხეთში რეფორმები უნდა შემოეღო და შეემსუბუქებინა თავის ქვეშევრდომ სომხების ხვედრი. ბევრმა წყალმა ჩაიარა მას აქეთ, მაგრამ დაპირებულის შესრულება კი სომხებს არ ეღირსათ. ეხლა ინგლისის მთავრობას გამოუღვია თავი და, როგორც გაზეთებში იწერებიან,—მის ელჩს ლორდ დეფერინს გამოუცხადებია ხვანთქარისათვის,—თუ სომხეთს მალე დაპირებული რეფორმები არ ეღირსა, შეიძლება ეს ქვეყანა ხელიდამ გამომეცალოსო. ხვანთქარს მოუწვევია თავისი ვეზირი და მიუნდვია—შეადგინოს კომისია და დიდი ხნის დაპირებული რეფორმები, ეხლა მაინც შეუსრულდეს სომხეთსაო.

რად მოაგონდა ამ დროს ინგლისს სადღაც მცირე-აზიაში მიგდებული სომხეთი, როდესაც ეგვიპტეში იმდენი სახათაბალო საქმე აქვს და ირლანდია არც ერთ საათს მოსვენებას არ აძლევს.

ამ კითხვაზედ პასუხი მისცა თითონ ინგლისის ელჩმა, როდესაც განაცხადა, რომ თუ ოსმალეთი სომხებთან ცუდად მოპყრობას არ დაიშლის, შეიძლება სომხებმა რუსეთისაკენ გაიწიონო და მართლაც რომ ინგლისს ძალიან უნდა ეშინოდეს ამ გვარად საქმის დატრიალებისა. მაგრამ ამ სიტყვებს უნდა დაუმატოთ ის გულში ჩახვეული პასუხი, რომელსაც დიპლომატები ჩვეულებისამებრ ენით არ გამოსთქმენ ხოლმე: ინგლისს ისე რუსეთისა არ ეშინიან, როგორც თითონ უნდა მცირე-აზიაში ბინის მოკიდება. ინდოეთთან შემაერთებელი გზა ხმელეთით მცირე-აზიაშია და ინგლისი ყოველ ღონის-ძიებას იხმარს რომ ეს გზა სხვას არავის დაანებოს. ან თითონ დამკვიდრდება იქ და თავის უთვალავ კოლონიებს ამ ქვეყანასაც მიუმატებს, ან თუ საქმე ასე არ მოხერხდა, იმას ამჯობინებს, დამოუკიდებელი სამთავრო შეადგინოს და სხვის ხელში კი არ ჩააგდოს.

ზემოხსენებულ მიზეზს ერთი წმინდა ვაჭრული მიზეზიც ზედ ერთვის. თუ კავკასიაში ტრანზიტი მოისპობა, ეს დიდად შეაწუხებს ინგლისის ვაჭრებს, რადგან სპარსეთში და შუა-აზიაში საქონლის შეტანა გაუჭირდებათ. ამ შემთხვევისთვის მათ უეჭველად სხვა გზა უნდა მონახონ და ყველაზედ მარჯვე გზა კი მცირე-აზიაზედ მიდის. ინგლისის მთავრობამ ეს კარგად იცის და რადგან ვაჭრების ინტერეს ყოველთვის ხელს უწყობს, მცირე-აზიას ამიტომაც მიაქცია თავისი ყურადღება.

ერთის სიტყვით, ოსმალეთის უფლების ქვეშ მყოფი სომხეთი სწორედ დღიურ ვარმად გადაიქცა დიპლომატებისათვის და იქნება მალე აღმოსავლეთის საქმეში ამ ქვეყანამ უკანასკნელი ადგილი არ დაიჭიროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები.

— თელავიდამ გვწერენ, რომ ამ მაზრას სეტყვა წრეულსაც არ ასცილებია. დასეტყვილან სოფლები ფშაველი, ხანიორე, ენისელი, საბუე, აღდგომა და შილდა. ამასთანავე გვიცხადებენ სურვილს, რომ ჩქარა დაარსდეს ჩვენში სეტყვის ზიანის მზღვეველი საზოგადოება, რომ ეგება ამით მაინც ეშველოს რამე სეტყვისაგან ხშირად მიწასთან გასწორებულ სოფლებსაო.

— ჩვენ მოგვივიდა ბ. ვლ. მიქელაძის თხზულება რუსულს ენაზედ: «რუსეთის ცხოვრების გავლენა ქართულ საზოგადოებასა და ლიტერატურაზედ». ეს თხზულება «კავკაზში» იყო დაბეჭდილი ორ ფელტონად და ახლა ავტორს ცალკე წიგნად გამოუცია. გამოცემა თვალთათვის ჩინებულია.

— რუსულ გაზეთებში იწერებიან, რომ გზის საქმეების მინისტრი პოსიეტი ამ ზაფხულ სამხრეთ-რუსეთში მოდის იმის დასათვალიერებლად, თუ სად უფრო საჭიროა ახალის რკინისგზების გაყვანაო. მინისტრი თურმე ყირიმსა და კავკაზიასაც მოივლის.

— ბათუმშიაც წესიერად უდღესასწაულნიათ ხელმწიფე იმპერატორის კურთხევის დღე, ამ დღის სახსოვრად ქალაქს იქაურ ქალების სკოლისათვის შეუწირავს ადგილი, შენობა და ყოველ წლივ 1,500 მან. უნდა იხადოს იმავე სკოლის სასარგებლოდ.

— ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის გამო სამი დღე განუწყვეტელად ლხინობდენ, და ქეიფობდენ, მაგრამ

---

სდგას!... იქნება ისეთზედ ელაპარაკები ვინც ქალს არ მოსწონს?

— არა, ღთის მადლმა! ვინც გინდა აირჩიოს. ერთ ბედ-ჩავსა და ღარიბს,—ვისაც ოჯახობის ყადრი არ ეცოდინება—არ მივცემ და ცხო ვინც გინდა იყოს.

— შენ-კი ცოტა გაქვს, რომ კიდევ მდიდარს ეძებ?.. უფალმა ყველაფერი მრავალი მოგცა, რიიღა სიმდიდრე გინდა?... მაგ სიტყვებით ღმერთს აწყენ, ღთის მადლმა!..

— რაი ვქნა, შენაი ჭირაიმე, ბიძიაუ, უფალმა მაგ ერთი ქალის მეტი არა მამცა-რა და ზედსიძედ ისეთი კაცი შემოვიყვანო ვინც ღარიბია და დაჩაგრულია?.. ეგეთი კაცი ვერც სახლს მოუვლის და იმ ქალაშვასაც სიცოცხლეს გაუმწარებს.

— კაცი ნახე, ქორღუყოუ, კაცი!.. ცხოვრებას კი ნუ ეძებ... განა ღარიბი-კი დაწყევლილია? ბედჩაო ჩემო თაო, ისინი-კი ღთის გაჩენილები არ არიან?

— ღმერთს საით შევცოდო, ნიადაგ ღთის გაჩენილები არიან... მაგრამ მოკეთე ბევრი მყავს, სტუმარი ბევრი მომდის, ღთის მადლმა, დიამბეგი, ნაჩალნიკიც მეწვევიან ხოლმე, იმათ დახვედრა უნდა, გაძღოლა... აბა ღარიბობით გულ-გატეხილს, დაჩაგრულს, იმათი გაძღოლა საით შეუძლიან.

— ეჰ, ჰე, ჰე, ამოიოხრა მოხუცმა და თავი ჩაჰკიდა.

— ქალს იმად ათხოვებ, რომ დიანბეგებს დაუხვდენ?.. იყუჩე, ქორღუყო, ღთის მადლსა! სალექსოდ თავს ნუ გაიხდი.

ქორღუყოს შერცხვა, რადგანაც დიანბეგების სტუმრობას ნამუსი ჯერ კიდევ სრულიად ვერ ამოერეცხა იმის გულიდან.

— აბა მაშ მირჩიე, ვინაა ისეთი რომ შენი გული ელხობოდეს?

— ვინაა?.. მაგას რაი კითხვა უნდა?.. გაახილე თვალები და დაინახავ. გაცხარდა მოხუცი და დაუმატა:—აი თუნდა ბექიაი, დღეს რო მწყემსად დაიყენე.

— რაიო? გაიკვირვა ქორღუყომ, რომ ფეხზედაც-კი წამოვარდა.—ჩემს მოჯამაგირეს უნდა მივცე ქალი.

— რად არა?.. კაი ბიჭია, ღთის მადლმა! მუშა, მშვიდობიანი, მორჩილი, ვაჟკაცი; ცხო რაიღა გინდა?

— ლუკმისთვის ცხოთა კარს მოსიარულეს უნდა მივცე?

— კარგია-ღა, ქორღუყოსი! უბრალოდ ლაპარაკს თავი დაანებე... რაი ბედენაა,—ცხოთა კარს დადის, თუ თავის სახლში ზის? გლეხ-კაცი მუშაობისთვის არის გაჩენილი, სადაც გინდა იყოს, გულ-ხელ დაკრეფილი ვერ დაჯდების.

— არა, ბიძიაისი, მაგაზედ ნუღარას მეტყვი. ჩემს ქალას ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს-კი არ მივცემ.

ამ სიტყვებთან ერთად მოისმა ეზოს კარის ჭრიალი. მოლაპარაკეთ მიიხედეს და მარტო კაბის გაფრიალებას შეჰკრეს თვალი.

### IV

ციცია, რომელიც წელან გაეშვებინა, ჭის-კარს მოჰფარებოდა, ყურს იქიდან უგდებდა და გულის ძგერით მოელოდა, თუ რითი გადაწყდებოდა მისი ბედ-იღბალი.

მოლაპარაკეთ ყოველის ხმის ამოღებაზედ ისა თრთოდა, კანკალებდა, ხან გაცივდებოდა, ხან ცეცხლსავით აინთებოდა. უკანასკნელი სიტყვები მას ლახვრად მოხვდა გულში, წაბარბაცა და თუ იქავ კარი არ შეხვედროდა, დაეცემოდა.

ერთს წუთს გაშტერებული ქალი, მალე მოვიდა გონს და გულ-ადუღებულს ცრემლები გადმოსკდა თვალიდგან.

ციციას და ბექიას კარგა ხანია უყვარდათ ერთმანერთი და თუმცა დაახლოვებულნი იყვნენ, მაგრამ გადაწყვეტილი-კი ჰქონდათ, რომ ერთმანერთს არ ულალალებდენ, ერთურთისთვის იყვნენ გაჩენილნი.

იმათ ლაპარაკითაც კი არ ულაპარაკნიათ ამ საგანზედ. სიყვარულ მოდებული გული ჰგრძნობდა, რომ ერთმანერთს თანა უგრძნობდენ და ერთმანერთის თვალის შეკვრა, სხვებისთვის შეუმჩნევლად რჩებოდა, მაგ-

არსად არ ყოფილა შფოთი და ალიაქოთი,—ყველგან რიგი და წესიერება იყო.

≈≈ ეს არის ეხლა მოგვივიდა პატარა ბროშიურა—«ლანგთემურისა და ჯალალ-ედინისაგან საქართველოს აოხრება» ნიკო ჯობინაშვილისაგან „გამოწერილი“, გამოცემა ზ. ჭიჭინაძის. თუ საყურადღებო ამოვიკითხეთ რამე ამ ბროშიურაში, ჩვენს მკითხველებსაც გავუზიარებთ.

≈≈ პირველს მაისს, ფოთში, ბურთაობის დროს, რამდენიმე კაცი დაჭრილა და დაშავებულა, რადგან გაცხარებულ მობურთაეეთ ბოლოს ქვა და კეტი უხმარიათ. ერთი კაციც მომკვდარა თურმე მეორე დღეს ჭრილობისგან. იწერებიან, კიდევ კარგი, რომ ერთის კაცით გადავრჩითო.

## მოკლე ფელეტონი

### უცხო გაზეთები

რომ დავუფიქრდეთ და კარგად ყური დავგდოთ, სანუგეშოს არაფერს წარმოგვიდგენს კაცობრიობის ცხოვრება. ის ნაკლი, ის სენი, რომელიც ერთხელ სწვევია, რამდენიც გინდა გოგირდი უბოლო კაცის ჯანიდამ სრულიად ველარ გამოიყვან, მხოლოდ ფორმას იცვლის. ბუნებითი და ველური ბარბაროსობა შეიცვალა განათლებული ბარბაროსობით (**цивилизованное варвство**) გაუნათლებელი კაცის გონების სიბრიყვე და რუტინერობა შეიცვალა ახალი განათლებისგან ფრთებ შესხმული და გალაღებული სიბრიყვით და რუტონით. უკელა, ვისაც ეხლანდელ დროში განათლებულს ეძახიან, იქამდენ გაბრიყვებულა, რომ იმის ფიქრით, ვინც პიფაგორის თეორემას ვერ დაამტკიცებს იმას არაფერს საგანზედ მსჯელობა არ შეუძლიან, თუმცა ხშირად მოხდება ხოლმე, რომ თხუთმეტი უნივერსიტეტის ბექდით დადაღულს ინდოურზედ მეტი გონების სიმახვილე არა აქვს და სრული უსწავლელი კი ყველა საგანზედ საღად სჯის და ლოღიკურად აზროვნებს.

ეს სიტყვები წარმოგვათქმევინა იმ განათლებული სიამაყით აღძრულმა სიბრიყვემ, რომელიც ჩაუდენია პატივცემულს გაზ. «**Врачъ**»-ს («ექიმი») ამ გაზეთს რედაქტორობენ ისეთი განათლებული ესკულაპები, რომ მეტი ტვინის მუშაობით აღარც ერთი თმა არ შერჩენიათ, არც კბილი. გაზ. «თერგს» შეუტყობინებია, რომ ჩვენებურ ცხენოსან ჯარებში აზიური, უსწავლელი ექიმები კიდევ არიანო და გამოჩენილს «ზნახარს» თურმანიძეს სამხედრო ექიმის მუნდირიც ჩააცვესო. ამას ისე გაუცეცხლებია, უიმისოთ დინჯი ექიმბაშები, რომ უფროსის ტონით უბრძანებს აქაურ პატენტიან ექიმებს: რას აკეთებთ მანდ, რატომ ყურს არ უგდებთ რომ უღირსი აზიელები ჩვენი წმინდა ესკულაპის ტაძარსა ჰსვრიანო!

უკაცრავად თქვენთან! ესკულაპის ტაძრის მოგვნო, მაგრამ მედიცინის იმ ნაწილში (ხირურგიაში), რომელშიაც თურმანიძემ ათასჯერ დაგიმტკიცათ თავისი ცოდნა, გამოცდილება და უპირატესობა, მგონია, თვენთვის უფრო შესაფერი იყოს «ზნახარის» სახელი, მინამ იმისთვის. იქ, სადაც თქვენ ხერხისა და საყასბო დანის მეტი წამალი არ იცით, თურმანიძე უბრალო წამლებით არჩენს და იმას უნდა დაუმადლოთ, რომ ნახევარი კავკასიის ჯარისა უხელოდ და უფეხოდ არ არის დარჩენილი.

ნუ დაივიწყებთ, რომ აქ კუდ მომწვარი თავ-მოყვარეობა უფრო ყვირის. რამდენჯერ მომხდარა, რომ საბრალო ავად-მყოფთან მისულან ცხვირის წვერზედ სათვალე წამოდებული ესკულაპის მოგვნი თავიანთი ხერხით, დანით, ჭოპოსნით, ცულით, წალდით, ხელეჩოთი, სატეხ-საჭვრეთლით და დაუძახნიათ: სახელითა დიდისა ესკულაპისათა ჩვენ მისნი მსახურნი, მოვსულვართ შენთან, რათა აღვასრულოთ ბრძანება მისი, ესე იგი თუ ხელი მტკივა, ხელი მოგჭრათ, თუ ფეხი გტკივა, ფეხი მოგჭრათ, თუ თავი მტკივა, თავი მოგჭრათ და სხვ. მაგრამ ამ დროს გამომტყვრალა საიდანღაც ჩოხიანი თურმანიძე და მოუხსენებია: მეცნიერნო მოგვნო, მე არც თქვენ ესკულაპს ვიცნობ და არცა-რა მადლი მოუნიჭებია იმას ჩემთვის, მაგრამ მე მსურს ამ უბედურს ხელი, ან ფეხი ზედვე შერჩეს და კიდეც შერჩენია. ამისთანა სირცხვილი არა ერთხელ უჭმევია თურმანიძეს იმათთვის და აბა როგორ აპატიებენ?

***

უთუოდ როდესაც „კავკაზის“ რედაქციას ლოღიკა უსწავლია, მასწავლებელი ისეთი ჰყოლია, რომელიც წითელი კარანდაშითა ჰნიშნავდა: „ეტო ნუჟნო, ა ეტო ნე ნუჟნოვო“ და კლასიფიკაციაც «ეტო ნე ნუჟნო»-ში მოუქცევია, რომ ლოღიკის ამ ნაწილში ისე სუსტათა ბრძანდებიან. მაგ. «კავკაზში» ყოველ დღე წვრილი ასოთი იბეჭდება რაც ქალაქში ქურდობა მოხდება, ან კაცისკვლა, ან სხვა რამე ამისი მსგავსი, მაგრამ იქვე მოაქცევენ ხოლმე ხანდისხან იმას, რის ალაგიც ახალ ამბებში უნდა იყოს. ბუშინ წინ ქურდობასთან ერთად მეექციათ, რომ ვილაც ამორიტიმ 60 ვედრა ლუდი შესწირა ერთს რომელიღაც პოლკსო.

მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის, მოვიხსენიე და დიდ შეცოდებად არ ვუთვლი.

დ—თ ს—ნი.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო.

თბილისში სადგურზე [illegible] ხინეს და პუბლიკას კი [illegible] მატა-რა, მეტადრე იმ ქალებსა და ბავშვებს, რომელნიც მთელის საათობით ელიან ხოლმე ვაგონის მოსვლას, მაგრამ, მოვა თუ არა ვაგონი, კინტოებისა და სხვა უფრო ღონიერ-ხალხისაგან უკუ-გდებულნი, უნდა უადგილოდ დარჩნენ და კიდევ უნაყოფოდ ელოდნენ მეორე და მესამე ვაგონის მოსვლას. განა ძნელი იქნებოდა ამ რკინის გზის გამგეობისათვის იმისთანა წესი შემოეღო, რომელ წესზედაც სამზღვარ გარეთ, იქცევით. იქ თურმე ამ რკინის გზასაც სტანციები აქვს დაგეთებული და სტანციებში ბილეთებს ურიგებენ, ასე რომ ვინც წინ-და-წინ მივა, ის უფრო წინანომერს აიღებს, და როცა ვაგონი მოვა, ხალხიც თავ-თავიანთ ნომრის კვალობაზედ სხდება ვაგონში. ამ წესის წყალობით ქალებს, ბავშვებს და სხვა უფრო სუსტ ქმნილებათ ასცილებოდათ მუჯლუგუნები, ტანისამოსების ხევა, ქოლგების მტვრევა და საცხენო რკინის გზის გამგეობისაც მადლობელნი დავრჩებოდით.

თბილისელი.

## განცხადებანი

მმართველობა «ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა» ამით აცხადებს, რომ 25 მაისს, საღამოს ექვს საათზედ სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში იქმნება წლიური კრება ,,საზოგადოების‘‘ წევრთა.

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

1) მოსმენა და დამტკიცება ,,საზოგადოების‘‘ საქმეთ-წარმოებისა 15 მაისიდამ 1882 წ. 15 მაისამდე 1883 წლისა.

5) მოსმენა და დამტკიცება მომავა-

---

რამ იმათთვის-კი აშკარა ლაპარაკი, კითხვა და პასუხი იყო. ჩუმის, სხვისთვის შეუმცნეველ, გრძნობის გაცვლა გამოცვლა, ისე უალერსებდა იმათ, ისე სანუგეშოდ და სასიამოვნოდ ეჩვენებოდა, იმდენს იმედს და სიამოვნებას ჰპირდებოდა, რომ ნება-უნებლივ, მოუფიქრებლად ერთმანერთისკენ მიიზიდავდა, ერთმანერთს აძებნინებდა.

ამ დროს, როდესაც აზრი, გონება, სული, გული, მთელი არსება საყვარელის საგნის დაახლოებით არის მოცული, როდესაც ყოველ ჟამს და ყველგან სატრფო გეხატება; რას შესტრფი, რას ეალერსები. ჰხედავ, ის აქვე არის, შენს გვერდით იქნება, ყოველ დღე ნახავ, ყოველ დღე დასტკბები მის ხილვით, ყოველ დღე თრთოლით მოელოდები იმ წუთს, როდესაც ეტყვი: «შენი ვარ!..» ღმერთო, რა სიამოვნება უნდა იყოს?! და ამ მდგომარეობაში მყოფი, ერთბაშად ჰხედავს რაღაცა ძალას, უფლებას, რომლის ნებაზედაც არის დამოკიდებული შენი ბედნიერება; როდესაც ჰხედავ, რომ ეს ძალა შეეხო სწორედ ამ საგანს, გესმის, რომ იმის გადაწყვეტილება ბოლოს ახლოვდება და... ერთბაშად ეს ძალა შეუბრალებელს გარდაწყვეტილებას წარმოსთქვამს,—ღმერთო, რა ძნელი უნდა იყოს მისი მოსმენა!?. სწორედ ამ მდგომარეობაში იყო ციცია, სწორედ ეს სატანჯველი გამოიარა, როდესაც ჭოროლუყომ წარმოსთქვა: «ჩემს ქალს ისევ ჩემის ხელით დავმარხავ და მოჯამაგირეს-კი არ მივცემ!»

ციციამ შესტირა და გაიქცა შინისკენ, სადაც დაეცა ტახტზედ.

ისა სტიროდა გამწარებული და გულ-ჩათუთქული, როდესაც ერთბაშად წამოხტა, მოიწმინდა თვალები და რაღაცა უჩვეულო გაბრაზებით წარმოსთქვა:

— მაშ კარგი, ვნახავ ვისაც მიმათხოვებთ!

V

სწორედ იმ დღეს, როდესაც ციციას მთაში ვხედავთ, ქალის მისვლამდის ბექიას ერთი ყმაწვილი ბიჭი ელაპარაკებოდა და მკვდრის ფერ-დადებული მწყემსი-კი ჩუმად მოისმენდა იმის საუბარს.

— მამაი, ეუბნებოდა უცნობი— როგორც შენგან დაბარებული ჰქონდა, მივიდა ჭოროლუყოსთან... პირდაპირ შენთვის კი არ ეთხოვა ქალი, მაგრამ ეგრე გამოკითხვა დაეწყო.

— მერე? მოუთმენლად ჰკითხა ბექიამ.

— უარს ამბობსო.

ბექია გაშრა და ხელებიც-კი ჩამოუცვივდა.

— უარს ამბობსო? გაიმეორა იმან უგრძნობლად და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—მაშ რაიღა მეშველება?

— მამამა, ნუ გეშინიანო, იქნება კიდევ დავაყაბულოთო.

— ტყუილი-ღაა! უიმედოთ გაიქნია თავი ბექიამ.—ჭოროლუყო ეგეთი კაცი არაა, რომ დღეს ცხო თქვას და ხვალ ცხო.

— რას დაღონდი, ბედჩაო! თუ მამამ არა ქნა, გავიტაცოთ!.. ქალაი ხომ უარს არ იქნების?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა.

— ჯერ ქალთანაც არ მოგილაპარაკნია?

— არა.

— აბაი მე-და მაშ შუა-კაცობა საით უნდა მოხერხდეს?

— არ ვიცი, არა!.. მიყორს, ვდნები, ვილევი იმისთვის და ცხო აღარა ვიცი-რა.

— გონს მოდი, რაებს უბნობ? გაიკვირა უცნობმა და დაუმატა:—დამშვიდდი, ბექია. ის ქალაი აქ ამოვა, მწყემსებისთვის ჯერს ის ეზიდების ხოლმე, ნახევი, მოელაპარაკე, უთხარ და თუ ის დაათანხმე ცხო ადვილია... ადვილია, ღვთის მადლმა!.. აბა ახლაკი მეც წავალ, თორემ ცხორი ტიელად დავყარე... შაქაცს კაცობა უნდა ეტყობოდეს, გულს ნუ გაიტეხ.

ამხანაგებმა გადაწყვიტეს, რომ ყველაფერი მართლადაც ქალზედ არის დამოკიდებული და მამისგან უარის გამოცხადება ჯერ კიდევ იმდენის გადასაწყვეტი არ არის და გაშორდენ ერთმანერთს.

სწორედ ეს იყო, ბექია და ციცია ერთმანერთს რომ შეხვდენ.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ლის წლისათვის შედგენილის სავარაუდო შემოსავლის და დასახარჯის ფულის სია—და

3) საზოგადოების ახალ წევრთ აღმორჩევა.

ბბ-ნი წევრთ იქვე შეუძლიანთ შემოიტანონ მათ მიერ-ხვედრი წარსულის წლის საწევრო ფული. (8—7)


ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათახნგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—63)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| | |
|---|---|
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—79)

ვერცხლის მელქიორი.

ფპალერები
აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით
ძმათა ტარნოპოლების
ქარხნის ადესის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.
ნარდათ მეიდველთ დაუთმობათ. (40—8)


# თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო-ბანკისა, ბანკის წესდების მე-15 § ძალით—17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ ივნისის 20-ს ამ 1883 წ. შუადღის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ თ. ბრუზინსკის სახლებში, № 13, იქნება გასყიდვა უძრავ ქონებათა „უპერეტორჟკოთ“ ქვემოთ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზედ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულა ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ქანანოვები, მაგდალინა პეტრეს ასული და ნიკოლოზ დავითის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფებით, თან ადგილი $190\frac{1}{2}$ ოთხკუთხი საჟენი და 1 არშინი და 188 ოთხ-კუთხი გოჯი. 1 უჩასტკაში 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს, დავიდოვის და კამენდანტის ქუჩა. თავნი ვალი 47,240 მ. 93 კ. დარჩენილი 3170 მ. 90 კ. სულ 50,411 მ. 83 კ.

მადალაშვილისა, მარიამ დიმიტრის ასული. ოთხი ორ-სართულიანი სახლი, ხუთის ერთ-სართულიანის ფლიგელით და სარდაფი 958 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-6 უჩასტ. 1 განყოფ., დამოყნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 46,088 მ. 72 კ. დარჩენილი 5410 მ. 94 კ. სულ 51,499 მ. 66 კ.

ლიაშენკო, სვიმონ მოსეს ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყველა განწყობილებით, ადგილის ზომა 200 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, მე-7 ავლაბრის უჩასტ. 2 განყოფ. თავნი ვალი 5761 მ. 9 კ. დარჩენილი 298 მს 20 კ. სულ 6059 მ. 29. კ.

ტერ-მიქელოვი, ასლან გაბრიელის-ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 500 კვად. საჟ. ქ. ტფილისში, ოლგინსკი-გზა-ტკეცილზედ, ჯვრის მახლობლად. თავნი ვალი 6721 მან. 27 კ. დარჩენილი 345 მ. 90 კ. სულ 7067 მ. 17 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბაღაგანით, ბ) ორი სამ-სართულიანი დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვი-დუქნები და გ) თერთმეტი თითო-სართულიანი ქვის დუქანი 276 ოთხკუთხი საჟ. და 7 არშინი მიწით. ქ. ტფილისში ა) მეშვიდე ნაწილში და ბ) მე-14 ნაწილში 2 განყოფ. თავნი ვალი 24,130 მან. 80 კ. დარჩენილი 2220 მ. 96 კოპ. სულ 26,356 მან. 76 კ.

მირიმანოვი, ისაკ ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი, ადგილის ზომა 1488 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-13 ვარანცოვის უჩასტკაში, მესამე განყოფ. თავნი ვალი 4032 მ. 77 კ. დარჩენილი 212 მ. 34 კ. სულ 4245 მ. 11 კოპ.

ბეყანბეგოვისა, ალექსანდრა თომას ასული, ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და დანარჩენის განწყობილებით. ადგილის ზომა 44 ოთხ-კუთხივ საჟ. ტფილისში, მე-3 ნაწილში, პირველს განყოფ., წყლის საზიდ ქუჩაზედ. თავნი ვალი 6721 მ. 26 კ. დარჩენილი 397 [illegible] სულ 7669 მან. 20. კ.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე. ორ-სართულიანი სახლი დუქნებით, ადგილი 125 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. გორში. თავნი ვალი 3733 მ. 75 კ. დარჩენილი 315 მ. 15 კ. სულ 1049 მ. 90 კოპ.

ვარნეკ, ბარბარე იაგორის ასული. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი, მეზონინით ადგილის ზომა 106 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, მე-9 ნაწილში, მე-2 განყოფ. თავნი ვალი 2905 მან. 87 კაპ. დარჩენილი 239 მ. 7 კ. სულ 3144 მან. 94 კაპ.

კომოროძენი, გიორგი და დავით ალექსანდრეს-ძენი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი მეზონინით და მოწყობილობით. მიწა ზომით დაახლოვებით 217 ოთხ-კუთხი საჟ. მე-3 ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფილისში, თავნი ვალი 19,759 მან. 90 კოპ. დარჩენილი 1504 მ. 92 კოპ. სულ 21,264 მ. 82 კ.

სპანდიერიანისა, ანნა აგაპარუნის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის შენობა, სარდაფის სართულით და სამი ფლიგელი ყოვლის განწყობილებით. ადგილის ზომა 325 ოთხ-კუთხივ საჟ. ქ. ტფილ. მე-4 ნაწილში, 1 გან. № 63. თავნი ვალი 26,559 მ. დარჩენილი 1966 მ. 91 კ. სულ 25,526 მ. 84 კ.

ბერმენოვისა, დარია გიორგის ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორიც ორ-სართულიანი ფლიგელი, რომელთაც უჭირავთ ალაგი 110 ოთხ-კ. საჟ. ქალაქის (უჩასტ.) განყოფილება, მოსკოვის ქუჩის ზეით. თავნი ვალი 6974 მ. 8 კ. დარჩენილი 524 მ. 40 კ. სულ 7498 მ. 48 კ.

ფორაქოვი, დავით ადამის-ძე. ორ-სართულიანი ქვითკითის სახლი სარდაფით და ორი ორ-ორ სართულიანი ქვითკირის ფლიგელებით ყველა თავისი კუთვნილებითა. ალაგი 400 ოთხ-კ. საჟ. 7 უჩ. ავლაბრის მეიდანზედ. თავნი ვალი 17,435 მ. 21 კ. დარჩენილი 1038 მ. 77 კ. სულ 18,473 მ. 98 კ.

ჩოლაყაშვილისა, სოფიო კოსტ. ასული ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ალაგი 68 და $\frac{3}{4}$ ოთხ-კ. საჟ. ორბელიანის ქუჩაზედ. თავნი ვალი 6843 მ. 64 კ. დარჩენილი 409 მან. 70 კ. სულ 7263 მ. 34 კ.

ყარაევი, ანდრია ოსიპის-ძე ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და ყველა კუთვნილობით. ალაგი 104 ოთხ-კ. საჟ. 5 უჩ. 1 განყოფ. ქათოლიკების ქუჩაზედ. თავნი ვალი 24990 მ. 48 კ. დარჩენილი 1896 მ. 38 კ. სულ 26,886 მ. 86 კ.

მნაწაკანოვი, ნერსეს ბუღდანის-ძე. ერთ სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ფლიგელი და ოთხი დუქანი სარდაფებით, ზომა ადგილისა 110 ოთხ-კუთხი საჟენ. 7 უჩ. 2 განყოფილება ავლაბარში. თავნი ვალი 5811 მ. 74 კ. დარჩენილი 351 მ. 22 კ. სულ 6,162 მ. 96 კ.

შაიკოვი, იგივე ტერ-დავიდოვი, ოთხ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით 52 ოთხ კუთხ. საჟ. მე-5 უჩ. 1 განყ. პოლიციის ქუჩაზედ. თავმი ვალი 7755 მ. 27 კ. დარჩენილი 440 მ. 99 კ. სულ 7,996 მ. 26 კ.

ვეზამოვი, არსენ სულთანის-ძე. ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და ფლიგელით და ხეხილისა და ვაზის ბაღი, ზომა ადგილისა 3642 ოთხ-კუთხი საჟენი ქალ ერივანს. თავნი ვალი 9686 მან. 23 კ. დარჩენილი 489 მან. სულ 10,175 მ. 23 კ.

გოზალოვი, გრიგოლ ეგორის-ძე. სამ-სართულიანი ქვის სახლი სარდაფით, ყველა მოწყობილობით, ზომა ადგილისა 84 ოთხ-კუთხი საჟენი, მე-6 უჩ. 1 განყოფ. ქ. ტფილისს. თავნი ვალი 12,536 მ. 37 კ. დარჩენილი 1,155 მ. 79 კ. სულ 20,692 მ. 16 კაპ.

ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი, მეზონინით და ორი თავლა, ზომა ადგილისა 600 ოთხ-კუთხი საჟენი მე-11 უჩასტკ., 1 განყოფილებაში ქ. ტფილისს. თავნი ვალი 3167 მ. 69 კ. დარჩენილი 214 მ. 78 კ. სულ 3,382 მ. 41 კაპ.

არნაუტიანცი, გრიგოლ ოსიფის-ძე. სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით. ალაგი, 14 საჟ. და $2\frac{1}{2}$ არშ. ოთხ-კუთხ. ს. 3 უჩ. 1 განყოფ. თავნი ვალი 3,907 მ. 27 კ. დარჩენილი 202 მ. 40 კ. სულ 4,109 მან. 67 კაპ.

გაბაშვილი, ალექ. ზაქარას-ძე. ორ-სართულიან ქვის სახლი ფლიგელით, სარდაფით და სხვა შენობებით, ზომა ადგილისა 160 ოთხ-კუთხი საჟენი, 1 განყოფილებაში, 1 უჩასტკ., ქ. ტფილისს, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6579 მ. 8 კ. დარჩენილი 233 მ. 76 კ. სულ 6812 მ. 84 კ.

ბარათოვი, ნიკოლოზ გრიგორის-ძე. ერთ-სართულიანი კვითკირის სახლი თავის განწყობილებით და დუქნებით. მიწა ზომით 1382 ოთხ-კუთხი საჟ. მე-6 ვორონცოვის ნაწილში 1-ს განყ. ქ. ტფ. თავნი ვალი 8,791 მ. 37 კ. დარჩენილი 652 მ. 16 კ. სულ 9433 მ. 53 კ.

ციციანოვი, გიორგი ივანეს-ძე. სახნავი, სათიბი, საძოვანი და ტყე, სულ $967\frac{1}{2}$ დესიატინა, ტფილისის მაზრა, ბორჩალოს უჩასტკა. თავნი ვალი 15,787 მ. 63 კ. დარჩენილი 1,006 მ. 52 კ. სულ 16,794 მ. 15 კ.

ერისთავი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე. სახნავი ადგილები ზომით 101 დესიატ. და 1,600 ოთხ კუთხი საჟ. ტფ. გუბერ., გორის მაზრაში, სოფ. ნაწრეტი. თავნი ვალი 1,973 მ. 46 კ. დარჩენილი 139 მ. 76 კ. სულ 2,113 მ. 22 კ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე. სახნავ-სათიბი და საბალახე ადგილე-